№ 41 თებერვლის 22, პარასკევი. 1866—1885 თებერვლის 22, პარასკევი. № 41.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

წლის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

**„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი.**

**წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.**

---

## ქართული თეატრი

შაბათს, თებერვლის 23 ს.

მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა, ქ. ე. ანდრონიკაშვილისა და ვ. ს. ალექსეევი-მესხიევი.

გამართავენ

მუზიკალურსა და ლიტერატურულს

**ს ა ღ ა მ ო ს**

ოთხს განყოფილებად.

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ნინო ორბელიანისა, მ. ნ. ღურანისა, კას. აბაშიძე, რატიელი, ლიუმა და თავადნი: სიდამონოვი-ერისთავი, ვაჩნაძე და ჩოლოყაშვილი.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

(2—1)

---

## ერთი „მავნე და გაქალარიბებელი“ ჩვეულება.

თბილისი, თებერვლის 22-ს

ადგილობრივს გაზეთებში დაბეჭდილ კორესპონდენციებს რომ თვალი ადევნოთ, წელიწადში სამას სამოცდა ხუთ ჯერ მაინც წაიკითხავთ, თუ მეტჯერ არა, იმ უსარგებლო ხარჯებზედ, რომელსაც სწევს ხალხი მიცვალებულის დასაფლავებაზედ, წლის წირვებზედ, ქორწილზედ, ან სხვა ამ გვარ შეკრებილებაზედ. კორესპონდენტების აზრით, ეს შეკრებილებანი შეადგენენ უმთავრესს მიზეზს ჩვენის ხალხის სიღარიბისას და თუ მღვდლები ქადაგებით და მასწავლებლები დარიგებით დაეხმარებიან ამ მავნე ჩვეულების მოსპობას, ხალხის კეთილ-დღეობა ძალზედ წინ წაიწევსო.

ამ სამას სამოცდა ხუთჯერ ერთისადა იმავე ამბის დამწერთ შორის, რომ ერთიც არის ჩაკვირვებოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველ გვარ ხალხის შეკრებილებას და რისთვის არის ესეთი პირველის შეხედვით „მავნე და გამაღარიბებელი ჩვეულება“ შემოღებული, იქნება მაშინ მაინც აგვცდენოდა მრავალი ამ გვარი კორესპონდენციების კითხვა და იქნება თვით კორესპონდენტებს ამ საგანში სხვა უფრო შესანიშნავ მოვლენისათვის მიექციათ თავიანთი ყურადღება.

დავიწყოთ იქიდამ, რომ ადამიანს ბუნებითვე დაყოლილი აქვს წადილი სხვა ადამიანებთან დაახლოებისა, დროგამოშვებით მათთან შეყრისა და თავის გულის-პასუხის გაზიარებისა. ძაცი ოთხფეხი პირუტყვი კი არ არის, რომ თავის სოროში დაიბუნაგოს და გარეშე ცხოვრებასთან ყოველ-გვარი დამოკიდებულება მოსპოს. იგი საჭიროებს თავის მზგავსებთან ერთობას, გრძნობათა გაზიარებას, შემწეობისა და ნუგეშის მიღებას სიტყვით, თუ საქმით და ხან-დის-ხან შემწეობის მიცემასაც. თვით ზოგიერთნი პირუტყვნიც არ არიან მოკლებულნი ამ შესანიშნავს თვისებას და რა გასაკვირველია, რომ კაცს, „ღვთის ხატებად შექმნილს“ იგი უმაღლესს წერტილამდე აეყვანოს და საუკეთესო გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა მასზედ დაემყარებინოს.

ჩვენს ხალხსაც თავის „მავნე და გამაღარიბებელი“ ჩვეულებანი იმიტომ შემოუღია, რომ ეს დანიშნულება ადამიანისა შეესრულებინა და თავის ბუნების მოთხოვნილებისამებრ მოქცეულიყო. უმათოდ ყოველი ოჯახი ჩაკეტილში უნდა მჯდარიყო და თითქმის მოესპო კავშირი სხვა ოჯახებთან, სხვა სოფლებთან, სხვა მხარეებთან. ამას გრძნობდა ხალხი და ამიტომაც წესად დასდვა, რომ ყოველს ადამიანს საოჯახო მხიარულების ან მწუხარების დროს თავის ნათესავნი, მეგობარნი და მცნობნი გვერდს ახლდენ ჭირისა და ლხინის გასაყოფად; ჩვენნი წინაპარნი გრძნობდენ, რომ ამ ჩვეულებებს დიდი ხარჯი მოსდევს და წამალი თითონვე უპოვნეს. ყოველი მეოჯახე ზნეობრივ მოვალე იყო თავის მეზობელს, როდესაც მას ამისთანა ხარჯი მოელოდა, შეძლებისამებრ მატერიალურად შესწევნოდა, მეტადრე მაშინ, როცა ხარჯი მოულოდნელი უბედურობისგან იყო გამოწვეული, როგორც მაგალითად, სიკვდილის ვისიმე დროს. ვის არ ახსოვს თავის სიყმაწვილეში, როგორი ზვინი დადგებოდა პურისა და რამდენი რუმბი ღვინო მოვიდოდა ხოლმე მეზობლებისა და ნათესავებისაგან ყოველ წირვის დროს მიცვალებულის მოსახსენებლად, ან დასასაფლავებლად. ეს არსებითი ნუგეში სიტყვიერ ნუგეშთან ერთად სასოებას ჰმატებდა მიცვალებულის პატრონს და ხშირად ობოლოხრად დატოვებულს გულში სიმხნეს უნერგავდა.

ეხლა რაღაა! ეხლა ძველი „გამაღარიბებელი“ ჩვეულება ისევ დარჩა; ქორწილს ბლომად უნდება, როგორც პური და ღვინო, ისე ფული, ურომლოდაც ჩვენს საუკუნეში კაცი ფეხს ვერ გადაადგამს, — და მიცვალებულის გამოტირებას ხომ კიდევ უფრო ბევრი მოუნდება. დასაფლავების ხარჯს თან მოსდევს „შეიდი“, „თხუთმეტი“, „ორმოცი“, „ნახევარ-წლის

---

## «დროების» ფელტონი, თებრ. 22-ს

### საზარელი სამკვიდრო

ფილოსოფიური მოთხრობა

ბ. ბალფრუასი

ფრანცუზულიდამ

სიკვდილის ჟამს რამდენიმე საათის წინად პორტეილის ცოლი ცოტა ხანს მობრუნდა იმ საშინელი გაშტერებიდამ, რომელშიაც ავადმყოფობის დასაწყისშივე ჩავარდა და რომელმაც ბოლოც მოუღო. მომაკვდავმა გამოსწია თავისი სამწერლო სტოლის ერთ-ერთი უჯრა, რომლის შემჩნევაც კი შეუჩვეველს თვალს გაუჭირდებოდა, ამოიღო იქიდამ პატარა რვეული, სადაც ჩასწერდა ხოლმე, ჩვეულებისამებრ, თავის თავ-გარდასავალს, და რვეულის პირველ გვერდზედ ხელის კანკალით დაწერა შემდეგი:

„ოჰ, შვილო! იქნება უკეთესი ყოფილიყო, რომ დამეწვა ეს რვეული და შენ თავის დღეში არ შეგეტყო ჩემი ტანჯვა; მაგრამ მაგის უფლება არა მაქვს და, მგონია, როდისმე დაგჭირდება მართლის შეტყობა. ამ რვეულს ვინახავ ჩემს სამწერლო სტოლის საიდუმლო უჯრაში და თვითონ სტოლს ანდერძით შენ გიტოვებ. საქმე ღვთის ამარად მიმინდვია; ვინ იცის, იქნება, რვეული სწორედ იმ დროს ჩაგივარდეს ხელში, როდესაც მართლა საჭირო იყოს. იქნება, სულაც არა შეიტყო-რა! მაინც-და მაინც, თუ ღვთის განგებამ სხვა ნაირად ინებოს და შენ მოგიხდეს როდისმე ამ სტრიქონების წაკითხვა, შაკ, ნუ დაივიწყებ, რომ მე ყველა მიმიტევებია და შენც მიუტევე“.

პორტეილის ცოლმა რვეული ისევ თავის ალაგას ჩასდო და თავისი საიდუმლო უჯრა ისევ ისე შესწია. ცოტა ხანს შემდეგ ადრინდელივით გაბრუვდა, გონება დაჰკარგა, ამ ავადმყოფობას თავი ველარ დააღწია და მეორე დილას განუტევა სული.

#### I

მკათათვის 7, 18.... წელს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო შაკ პორტეილის ლექციაზედ. პროფესორი აუწყებდა მსმენელებს თავის უკანასკნელ სამეცნიერო გამოკვლევას და უნდა საფუძვლიანი საბუთების მოყვანით დაემტკიცებინა თავისი აზრი.

თუმცა შაკ პორტეილი ჯერ კიდევ კარგა ახალ-გაზდა იყო, მაგრამ მეცნიერთა შორის მალე გამოიჩინა თავი. ბუნებითვე უხვად დასაჩუქრებული მჭევრმეტყველობით იგი განიხილავდა ფილოსოფიურ აზრებს საფუძვლიანი საბუთებით, მტკიცე მეთოდით და ძალიანაც თავს-ზარი დასცა იმ ნისლით მოცულ პსიხოლოგიას, რომელიც ნემეცების წყალობით სუფევდა საერთოდ ყველგან; აქამომდე ჯერ არ გამოსულიყო იმისთანა განვითარებული პირი, მეცნიერებით ცოტად თუ ბევრად დახელოვნებული, რომ იმათთვის წინაამღდეგობა გაეწია. რახან შაკ პორტეილს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ფიზიოლოგია და ამასთანავე ისეთი მტკიცე ლოგიკის პატრონი იყო, რომ ყოველთვის გზა-გადაუხვევლად პირდაპირ თავის საგნისკენ მიილტვოდა,—ამიტომაც ძველს ფილოსოფიას მალე ბოლო მოუღო და ძირიანად აღმოფხვრა იგი. სადაც საზოგადოდ სხვები მხოლოდ მჭევრმეტყველობას ადევნებდენ თვალს, იგი კანონებს დაეძებდა, მუყაითად აგროვებდა საბუთებს, არც ერთი წვრილმანი ფაქტი არ გამოეპარებოდა, მუდამ უსათუო სინამდვილის ძებნაში იყო, თავის გამოკვლეულ დამტკიცებებს მკაცრად ეკიდებოდა და ფილოსოფიურ წესების განხილვაში ხმარობდა მეცნიერთაგან შეძენილ გამოცდილებას. ამნაირმა ჭკუის მიმართულებამ დიდი გავლენა იქონია მსმენელებზედ ისინი გრძნობდენ, რომ ეს რიტორიკი არ არის, არამედ მართლის მეძიებელი, და ყველა, ვინც კი ფიქრობდა ადამიანის აზრის განვითარებაზედ, ყველა, ვინც კი ოცნებობდა მეცნიერების ნაყოფით დამტკბარიყო, ყველა ესენი გახდებოდენ ხოლმე პორტეილის ერთგულნი მოწაფენი; იმათ კარგად იცოდენ, რომ იგი ისეთ გონივრულ მსჯელობას მისდევს, რომ სხვა-და-სხვა უცნაური და ცრუ სწავლა ვერ აცდენს იმას. გარდა მაგისა, პორტეილი ისეთი კაცი არ იყო, რომ თავისი გამოთქმული აზრი ნამდვილ საფუძველზედ, შეურყეველ საბუთზედ არ დაემყარებინა.

ამ წელს საკითხავ საგნად ამოერჩია შთამომავლობითი პსიხოლოგიური მემკვიდრეობა; ამ საგანს დიდ ყუ-

წირვა'', ,,წლის წირვა''; მთელი ოჯახი მიწასთან სწორდება, ნადგურდება და ამ განადგურების წამალი კი აღარსად არის. მხლა მიცვალებულის პატრონმა, თუ საშველელოდ არა აქვს-რა გადადებული, ვალი უნდა აილოს; ფულის პატრონიც, შეწევნის მაგივრად, სარგებლობს მისი გაჭირებული მდგომარეობით და ჩვეულებრივს სარგებელზედ ხუთჯერ და ათჯერ მეტს იღებს. ხარჯი მოსდის ადამიანს, მაგრამ ხელი შემწეობისა კი არსაიდან ეწვევა. თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ ჩვენი ხალხი კი ამ ,,მავნე და გამაღარიბებელ ჩვეულებას'' თავს არ ანებებს და არც დაანებებს, ვიდრე სხვაფრივ არ გაეხსნება გზა ერთად შეყრისა, საზოგადო სჯისა და სხვებთან ერთად ჭირისა და ლხინის გაზიარებისა; არ დაანებებს ამ ჩვეულებას თავს, რამდენიც უნდა უქადაგონ მღვდლებმა და ჩააგონონ სოფლის მასწავლებლებმა.

სულ სხვა იქნებოდა, რომ ეს ქადაგება და დარიგება სხვა საგნისადმი მიმართულიყო. მღვდლებიც და მასწავლებლებიც დიდს სიკეთეს მოუტანდენ ხალხს, თუ ჩააგონებდენ, რომ ,,ნუ დასტოვებთ მშვენიერს მამა-პაპურ ჩვეულებას, აწედიეთ ძმამ ძმას ხელი შემწეობისა და ნუ დაივიწყებთ, რომ, რა საწყაულითაც მიუწყავთ, იმავე საწყაულით თქვენ მოგეწყობათ''.

## შინაური ქრონიკა

— ჩვენ გვაცნობეს, რომ რამდენიმე ათასი ჯარის კაცი იგზავნება კავკასიიდან ავღანისტანისკენაო.

— თებერვლის 5-ს, შუადღის შემდეგ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის შეგირდმა გვარად სერებრიაკოვმა სამართებლით ყელი გამოიჭრა. სამართებელი ისე გაბედვით გამოისვა, რომ კისერი ოდნავღა ეკიდა. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ არ იციან. (ამ ცნობამ ჩვენდა უნებურად დაიგვიანა).

— ქართლში თოვლი მთლად აღებულა, გარდა მაღალი მთებისა, და საკმაოდ თბილი ტაროსი დამდგარა.

— ბორიდან გვწერენ: „აქაური დიდრონი ქუჩები გაწმინდეს, მაგრამ ურიგო არ იქნება პატარა ქუჩებსა და მეიდნებსაც არ დაივიწყებდენ".

— თელავიდან გვწერენ: «ჩვენმა ·დეპომ·, რომელსაც აქამომდე ერთხელაც არ უჩვენებია თავისი წევრთათვის ერთი კაპეიკი მოგება, ახალ დახლიდრის წყალობით, წელს, როგორც აღმოჩნდა რევიზიის შემდეგ, ორმოც-და-თორმეტი პროცენტი (52 %), წმინდა მოგება მისცა თვის წევრებს და ესეც მხოლოდ შვიდი თვის განმავლობაში. თუმცა ჩვენი დეპო გაცილებით უფრო იაფად ჰყიდის ყოველს თვის საქონელს, მაგრამ მაინც ესეთი დიდი მოგება აღმოჩნდა,

არც გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობამ შეირცხვინა თავი: ერთი წლის განმავლობაში შეიძინა 150 წევრი და წლის განმავლობაში ცხრაას თუმანზე მეტს ფულს ამუშავებდა. ამას კი წმინდა მოგება ჰქონდა მხოლოდ ექვსი პროცენტი (6 %). ამ ჟამად ამხანაგობის ერთ წევრად, რომელიც გასწევს უმთავრეს შრომას გამგეობაში, ამოვარჩიეთ ს. მ. და დავუნიშნეთ თვეში ოცი მანათი ჯამაგირი. ახლა ვცდილობთ, რომ თელავის მაზრის ყოველი სოფლიდამ შევიძინოთ ამხანაგებად სამიოდე პატიოსანი გლეხი, რათა შემდეგ ამათის შემწეობით გავავრცელოთ სოფლებში ამ ამხანაგობისაგან მოტანილი სარგებლობა.»

— ახალ-ციხიდამ გვწერენ: «ამ თვის 9-ს სოფელს ტოლოშში (ახალ-ციხიდგან 30 ვერსზედ არის) მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი: ამ სოფელში სცხოვრობს ოც-და ხუთ კომლამდე მართლ-მადიდებელი ქართველობა, რომელთაც აქვთ თავიანთთვის შესაფერი ეკლესია, სხვათა შორის აქ იციან ამ ეკლესიის დღეობა დიდ-მარხვის პირველ კვირის შაბათს – თევდორობა, რომლის წმიდის სახელობაზედ არის აგებული ეს ეკლესია. ამ დღისათვის მოდის ხოლმე დიდძალი ხალხი სალოცავად ჯავახეთიდგან და ევრეთვე ახალციხის მაზრის სოფლებიდგან. დღესასწაულ დღეს წირვის შემდეგ გაჩაღდება ჯირითობა, ჭიდაობა და სხვა ადგილობრივი თამაში. ხანდახან ჩხუბიც არ დააკლდებათ, რადგან ჯავახეთის ხალხი, სამწუხაროდ, არაყის სმას ეტანება. წელს კი მოულოდნელმა შემთხვევამ ყოველივე სიამოვნება ჩაუხამა ხალხსა. აქაური ეკლესია, როგორც საზოგადო სხვა ახლო მახლო სოფლებისა, პატარაა; ამისათვის შიგ იყო გაკეთებული მოაჯირი. ქალები ჩვეულებრივ ასულიყვნენ მოაჯირზედ, მაგრამ იმდენნი, რომ მოაჯირს ველარ დაემაგრებინა, ჩამომტვრეულიყო და დასწოლოდა თავზედ ქვემოთ მდგომ ხალხსა. წარმოიდგინეთ რა საცოდაობა მოხდებოდა. ზოგს ქალს მოჰყვა თურმე ქვეშ ძუძუ-მწოვარი შვილი, ზოგს გაუტყდა თავი, ზოგს მოსტყდა მკლავი, ფეხი, ჩაერჭო ტანში მსხვილი ლურსმები, ზოგს შიშისაგან გული წაუვიდა; ისე რომ ამათი ქვითინ-ხივილი ცამდის ადიოდა. ორნი ისე მძიმედ დაკოდილან, რომ იმედი გადაუწყვეტიათ მათს მორჩენაზედ.

— რადგანაც გაუქმებული პრიკაზის საქმეები, ქველ-მოქმედების შესახებნი, გადაეცა თბილისის გუბერნიის სამმართველოს და ამ უკანასკნელს აკლია ამ ახალ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო პირნი, კავკასიის მთავრობას განუზრახავს რომ გუბერნიის სამმართველოს ამ საგნისათვის მოუმატოს ხუთი წლის ვადით ორი საქმეთ-მწარმოებლისა და ორი მათი თანაშემწის თანამდებობანი. ახალი ხარჯის რაოდენობა წელიწადში იქნება სულ 4,000 მანათი (,,ნოვ. ობოზ.'').

— კავკასიის მთავარ-მმართებელს სახალხო განათლების მინისტრის წინაშე წარუდგენია აზრი, რომ შედგენილ იქმნას და გაიგზავნოს სამეცნიერო ექსპედიცია იმიერ-კასპიის ოლქისა და მოსამზღვრე ხორასნის მაზრის (სპარსეთში) გამოსაკვლევლად. წარმდგენელის აზრით ამ საქმისათვის 5,000 მან. იქნება საჭირო. სახალხო განათლების მინისტრს მინისტრთა კომიტეტისათვის გადაუცია ეს საქმე. თუ ექსპედიციის დანიშნვა გადაწყდა, მაშინ მის წევრებად დაინიშნებიანო: დოქ. რადდე, კავკასიის ფლორის გამომკვლევი, ზ. სმირნოვი, და გეოლოგი ინჟენერი კონშინი.

— შესდგომიან მდ. მტკვრის ამოწმენდას გემთა სასიარულოდ შესართავიდან ქვლახის სადგურამდის (სტანცია). მმართებლობას ამ საგნისათვის გადაუდვია ერთ მილლიონ მანათამდე. ამ ჟამად მდინარე ამოწმენდილია შვიდს ვერსზე ქვლახიდან. საქმის ასაჩქარებლად ასტრახანიდან მოაქვთ ერთი პატარა გემი (,,კასპი'').

---

რადღებას აქცევდა და უსამზღვრო ჯაფას სწევდა იმის გამოსაკვლევად. იქამდის მიაღწია კიდეც, რომ გაანათა ეს ბნელი და გაუგებარი საგანი და ბევრი ძნელად ასახსნელი—ახსნა.

აი ამ გამოკვლევას აუწყებდა მკათათვის 7 თავის აღტაცებულს და მინდობილ მოწაფეებს; იმან შემდეგი სიტყვებით დააბოლოვა თავისი ლექცია:

— პსიხოლოგიური შთამომავლობით მემკვიდრეობა არის შედეგი ფიზიოლოგიური შთამომავლობითი მემკვიდრეობისა; ყოველი შინაგანი მიდრეკილება, ყოველი გრძნობა, ყოველი მიზიდვა, გულის ვნება, თვით ნიწიერება ჩვენი დედ მამისა დაბადებითვე ჩაგვესახება ჩვენ. მართალია, ზოგჯერ ეს ნაყოფი შეიძლება არ მოიწიფოს, თითქმის გაჰქრეს კიდეც, თუ გარეგან გარემოებას გამოუსცვლით, თუ გარეშე შემთხვევანი ხელს მოუმართავენ. კაცს შეუძლიან თავის ნების ძალით მოსპოს მაინც შედეგი, თუ იგი არ არის იმ ზედ-მოქმედების ქვეშ, რასაც ჩვენ პსიხოლოგიურ მანკს ვეძახით: მაშინ საშინელი შედეგი მოსდევს შთამომავლობით ჩასახულ ნაყოფს და რაც უნდა სიფრთხილე ვიხმაროთ ბუნების წინააღმდეგად— ის თავისას გაიტანს. ეს მეტაფიზიკური გამოკვლევა ნუკი გგონიათ! ყველას, ვინც კი მოინდომებს, შეუძლიან თვალ-წინ წარმოიყენოს თავის შთამომავლობა. საკმარისი იქნება, რომ მიაიგონოთ თქვენი დედ მამის ცხოვრება და ცნობიერების დახმარებით შეგეძლებათ გაანათოთ სიღრმე თქვენის სულის მდგომარეობისა.

ხანგრძლივი ტაშის კვრით დაბოლოვდა პროფესორის უკანასკნელი სიტყვები. იგი იძულებული შეიქნა გაპარულიყო სხვა კარებიდამ, რომ თავიდამ აეცილებინა აღტაცება მოწაფეებისა, რომელნიც ეზოში ელოდენ და უპირებდენ დიდის ამბით სახლამდი მიცილებას.

II

იშვიათია ქვეყანაზედ ადამიანის სრული ბედნიერება და როდესაც შევეფეთებით მას, არ შეიძლება გაკვრით მოვიხსენიოთ. ჟაკ პორტეილი სრული ბედნიერი იყო, იმას თავის სიცოცხლეში ერთი ქალიც არ შეხვედრია; კარგის მეტი არა ახსოვდა-რა. ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა გავლილ ცხოვრებას, თავის სიყმაწვილეს, რომელიც გაატარა ქალაქ ნანსში, თავის მამა-პაპებისაგან დარჩენილ საავარეულო სახლში. მაშინ ამას ზრდიდა აღტაცებით მოსიყვარულე დედა. იგი გრძნობდა რაღაც ტკბილ აღელვებას, როდესაც თვალ-წინ წარმოუდგებოდა ისე უცბად გამქრალი დედის ნარნარი პირის-სახე, რომლის მუდმივი ნაღვლიანი შეხედულობა შვილის დანახვაზედ ერთბაშად გაბრწყინდებოდა. დედა მისი თითქოს ატყობდა თავს, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე არა აქვს და უნდოდა მიეცა ორიოდე დღეში ამისთვის მთლად თავისი მშობლიური მხურვალე სიყვარული. ათი წლისა იქნებოდა, როცა დედა მოუკვდა და მარტო მამის ანაბარას დარჩა; მერე იმაზედ უკეთესს ხელ-მძღვანელს ვის იშოვიდა. მამა დიდად განვითარებული პირი იყო და ქიმიის განთქმული მცოდნე; ამასთანავე, მართალია, ყოველთვის ღრმად გართული იყო თავის წიგნებში და ამიტომაც გულგრილობა ეტყობოდა, მაგრამ იმისი წრფელი გული და საოცარი ჭკუა ყველა ნაცნობებს დიდ პატივს აგრძნობინებდა მისდამი. ამ ნაირი მკაცრი ხელ-მძღვანელობით ახალ-გაზრდა ყმაწვილს სწრაფლად გაეხსნა მაღალი თვისებანი და გულის-ყური. ის წელიწადები, რომელნიც იმან გაატარა სასწავლებელში, არ დარჩნენ უნაყოფოდ: უმაღლესი სწავლა ადვილად შეიძინა და დიდ წარჩინებაშიაც შევიდა. სრული ოცი წლისა იყო, როდესაც მამა მოუკვდა. იმისმა სიკვდილმა ჟაკი ნამდვილ და გულწრფელ მწუხარებაში ჩააგდო; მამის სახელის მოსაგონებლად რამდენიმე წელიწადი მიეცა იმ მეცნიერების შესწავლას, რომელსაც მისმა მამამ მთელი სიცოცხლე შესწირა. ამ შესწავლამ უნაყოფოდ არ ჩაუარა; იქნება ამიტომაც შეიძინა ის ცხადად აზრების გამოხატვა, ის სიმტკიცე, ის შეურყეველი ლოგიკა, რომელმაც ბოლოს კიდეც ხელი მოაკიდებინა ახალ დროის პსიხოლოგიის შესწავლას.

(გაგრძელება შემდეგ)

## „დროების“ კორესპონდენცია

სიღნაღი თებერვლის 17-ს. წარსული წლის „დროების“ № 65-ში იყო დაბეჭდილი სიღნაღიდამ წერილი, სადაც, სხვათა შორის, მოხსენებული იყო, რომ მაზ. უ—სის თაოსნობით აქ შეიკრიბა მოქალაქეთაგან ფული საქალაქო ბანკის დასაარსებლად. ეს ფული ოთხას-ხუთას თუმნამდეა, როგორც გვითხრეს. დღეს შევიტყეთ, რომ მთავრობას უარი უთქვამს სიღნაღში საქალაქო ბანკის დაარსებაზე. ეს სწორედ სამწუხაროდ მიგვაჩნია, მით უფრო, რომ იმედი გვქონდა მომავალი ბანკი კერძო პირების და „სუდნი კასების“ ცარცვისაგან დაგვიხსნიდა.

თუ სამოქალაქო ბანკი არა—„გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“ მაინც შეიძლება დაარსდეს აქა. ფული მზად არის, წევრებიც სამყოფნი არიან, მხოლოდ თხოვნას შეცვლა უნდა და იმედიც არის მთავრობა უარს არ გვეტყვის ამ თხოვნაზე, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ სიღნაღში გამოჩენილა ცრუ-წინასწარმეტყველი და საზოგადო „ბანკისთვის“ მოკრეფილს ფულს სხვა დანიშნულებას აძლევს. ეს პირი უბრალო ვინმე არ გეგონოთ! იგი გახლავთ გაზ. „ახალ-მიმოხილვის“ კორესპონდენტი.

დიახ! კორესპონდენტი გახლავთ და თვისი წერილით, რომელიც ზემოხსენებულ გაზეთის მახლობელ ნომერში იყო დაბეჭდილი, საზოგადო ფულს სომხის სამრევლო სკოლას სწირავს.!! მისი სიტყვით ეს საქმე უკვე დაბოლოვებულიც არის და თვით საზოგადოებასაც მოწერილი აქვს ხელი თხოვნაზე მ—უ—სისადმი, რომ საზოგადო ფული სომეხთ სამრევლო სკოლას გარდასცეს...

ჩვენც ცოტა ოდნად ვიცით ეს საქმე, გვქონდა კიდეც ამ საგანზე, ზემოხსენებული წერილის შემდეგ, ლაპარაკი იმ პირებთან, რომელთაც ფული გამოიღეს, მაგრამ მათი სიტყვით ამ საგანზე არამც თუ თხოვნა—სიტყვაც არავის დაუძრავს.

მაშ საიდამ მოიგონა ეს „ახალი-მიმოხ.“ კორესპონდენტმა? ღვთის-წინაშე არც გასამტყუნარია კორესპონდენტი. სიღნაღი ისეთი ქალაქი არ არის, რომ მის მეთვალ-ყურეს გაზეთისთვის მასალა არ შემოაკლდეს, და მასალის კოტრობის დროს, მოდი, დაჩუმდი და ტყუილს მაინც ნუ გამოიგონებ?

რედაქცია შორს არის, რას გაიგებს?...

×

ყველაფერი კარგი, მაგრამ ნათქვამია: „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“. ჩვენი სიღნაღი ყველა ცრუ და მავნეს ისე მალე დაჰყვება ხოლმე, რომ იმასაც-კი არა სჯიან—სასარგებლო საქმეს აკეთებენ, თუ უსარგებლოს.

ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, ორიოდე სიტყვა ვსთქვა ზემოხსენებული პირის მავნებლობის საჩვენებლად, რადგან მეჭორე გვირჩევს საზოგადო ფული მოხმარდეს მას, რაც დახმარებას არ საჭიროებს.

მე ვამბობ სომხის სამრევლო სკოლაზე. ეს სკოლა მატერიალურის მხრივ ისე კარგ მდგომარეობაშია, რომ ყოველ-წლივ მას ხარჯ-გარეთად ფული რჩება. მთელი მაზრის საეკლესიო მამულების, სანთლის და კერძო პირთაგან შემოწირული შემოსავალი ამ ერთად-ერთ სკოლას ჰხმარდება. ყოველ წლიური შემოსავალი რომ გასავალს აღემატება, ამას გვიმტკიცებს ისა, რომ წარსულ წელს ამ სკოლას ერთი მასწავლებელი ქალი ჰყვანდა ქალების განყოფილებისათვის და წელს-კი მეორეც მოუმატეს. ამაზე ლაპარაკი რადგან შორს წაგვიყვანს, ამისათვის ამ სკოლის ავლა-დიდების გაცნობას მსურველს მივუთითებთ სომხურ გაზეთს „ნორ-დარზე“; ჩვენ მხოლოდ ვიტყვით, რომ საზოგადო ფული არას გზით არ უნდა მოჰხმარდეს სომხის სამრევლო სკოლას, რადგანაც ამ ფულში იმისთანა პირთა ფულიც ურევია, რომელნიც სომეხთ სარწმუნოებას არ ეკუთვნიან და ხსენებულს სკოლაში თავის დღეში შვილებს არ მიაბარებენ. ეს ფული ისეთს სასარგებლო საქმეს უნდა მოხმარდეს, რომელიც, სარწმუნოებისა და ეროვნობის გაურჩევლად, ყველასთვის სასარგებლო იყოს. რა ამშვენებს ათი-ათასზე მეტ მცხოვრებიან ქალაქს სიღნაღს? რა აქვს ან ახალთაობის აღმზრდელი, ან საზოგადოების გასაუმჯობესებელი დაწესებულება? ერთად ერთი სამოქალაქო და ორიც დაბალი სასწავლებელი. ნუ თუ ეს საკმარია ამოდენა ქალაქისთვის? სწორედ, რომ დროა სიღნაღელებმა გაახილონ თვალები, მიიხედ-მოიხედონ და თუ თავიანთ თავზე არა, ახალთაობის ბედ-იღბალზე მაინც არის იფიქრონ.

სად იყო პატივცემული კორესპონდენტი, როცა ქალაქის მთავრობამ მოსთხოვა მცირედი შემწეობა სახელოსნო სასწავლებლის დასაარსებლად? რატომ მაშინ არ ურჩია ზემოხსენებული ფული მისთვის შეეწირათ? მით ქალაქს უფრო მეტი სარგებლობა ექნებოდა და კარგსა და საჭირო საქმესაც მოეჰხმარდებოდა ფული.

სხვას თავი რომ დავანებოთ ქალაქს ერთად ერთი ხალხის ჯანმრთელობის და სისუფთავის შემნახველი აბანო არა აქვს. თუმცა წყლით მდიდარი არ არის სიღნაღი, მაგრამ ორი-სამი წყაროების შეერთებით შეიძლება აბანოების გამართვა. ის ხომ გაუგონიათ მაინც, რომ სულ უარარობას ცალ უღელი სჯობიაო.

მაგრამ სჯობს დავჩუმდეთ, თორემ თუ ჩამოვაყოლებთ სიღნაღის ნაკლულევანებას, ძლიერ შორს წაგვიყვანს.

ბოლოს იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მაზრის უფროსიც და თვით მოქალაქენიც, თუ ზემოხსენებულ ფულს „ბანკს“ აალიებენ, ისეთს საჭირო საქმეს მოახმარებენ, რომელიც სიღნაღს რაიმე იარას გაუმთელებს და შესამჩნევ სარგებლობას მოუტანს.

ი. კახელი.

---

## უცხოეთი

ინგლისი. გლადსტონის მოწინააღმდეგეთა რიცხვი დღე-დღეზედ იზრდება. ლამის მთელი საზოგადო აზრი წინააღუდგეს ამ გამოჩენილს სახელმწიფო კაცს, რომლის „გამოჩენილობა“ საგრძნობლად შეაფერხა, მართლაც, სუდანის საქმეებმა. ინგლისის პოლიტიკოსები თუ დიპლომატები სხვა-და-სხვა მხრიდამ შეეხნენ გლადსტონის სამინისტროს და დღე-დღეზედ ნაირ-ნაირს კილს უძებნიან მას. აი, რასა სწერს, სხვათა შორის, სერ ლეიარდი, ინგლისის ყოფილი წარმომადგენელი სტამბოლში, გაზ. Times-ში: „ყველა დამარცხება, რაც ინგლისს თავს დაატყდა მდ. ნილოსის ნაპირებზე და ის მსხვერპლნი, რომელთაც მომავალში კვლავ შესწირავს ინგლისი სუდანის საქმეებს, უნდა, უეჭველად, დაბრალდეს ეხლანდელის კაბინეთის პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ. ადრინდელი ინგლისის პოლიტიკა,—პოლიტიკა ლორდის ბიკონსფილდისა — განაგრძობს სერ ლეიარდი—თავდა-პირველად სულ მას ცდილობდა, რომ ოსმალეთის იმპერიას არავინ შეეხებოდა, მეცადინეობდა ამ იმპერიის დამოუკიდებლობისთვის. ყოველს განაწილებას ოსმალეთისას ეწინააღმდეგებოდა ეს პოლიტიკა, რადგან კარგად ესმოდა, რომ ამგვარი განაწილება დაარღვევდა თვით ევროპის მშვიდობიანობას; ბიკონსფილდის პოლიტიკა ცდილობდა ამიტომ კეთილ-განწყობილება ჰქონოდა იმ უმაღლესს მმართებლობასთან, რომელიც ისლამს აღიარებდა, მით უმეტეს, რომ ამავ სარწმუნოებისანი არიან მილიონები ბრიტანიის ქვეშევრდომთა. გლადსტონის კაბინეთმა უკუ აგდო ეგ პოლიტიკა. მან შეურაცხჰყო ხონთქარი, როდესაც პირი მისცა დანარჩენ ოსმალეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა და თვისი პოლიტიკა მით დაამთავრა, რომ გაერია ეგვიპტეს საქმეებში და ზარალი მისცა ხონთქრის უფლებათა, რომელნიც აღიარებულნი არიან მთელი ევროპისაგან. ამ ჟამად ინგლისი ერთობ ცუდს მდგომარეობაშია. რაც უნდა დაუჯდეს—ხართუმი უნდა აიღოს მან და აიღოს იმიტომ-კი არა, რომ ამით გორდონის მოკვლისათვის სამაგიერო გადუხადოს მაჰდის—იმიტომ, რომ ინგლისის სახელი კვლავ აღადგინოს ეგვიპტეში. მაგრამ როდესაც ხართუმს აიღებს—საქმე იმაშია, თვით დაისაკუთროს იგი, გადასცეს რომელიმე ევროპის სახელმწიფოს, თუ ისევ ველურ სუდანელების ხელში დაანარჩუნოს. როგორ უნდა მოიქცეს ინგლისი? ერთად-ერთი გონიერი მოქმედება ეს იქნება — განაგრძობს სერ ლეიარდი— ინგლისმა ხართუმი, მთელი სუდანი, ოსმალეთს დაუთმოს, დააარსოს იქ ოსმალეთის ადმინისტრაცია ინგლისელის კომისარითურთ და სხვ. ამით გლადსტონის კაბინეტი დაუბრუნდება ლორდ ბიკონსფილდის მოსაწონ პოლიტიკას, ე. ი. მეგობრული კავშირი კვლავ დამყარდება ინგლისისა და ოსმალეთის შუა.

—

ამერიკის შეერთებული შტატები. „პატარა დამბაჩაო, სწერს ამერიკული გაზეთი. „ნიუ-იორკის ჰეროლდი“, რომლითაც მისს დოდლეისას უნდოდა ბოლო მოეღო ოდონოვან როსასათვის, ისეთი მცირე კალიბრის იყო, რომ სამ ტყვიათაგან ორმა ძლივს პალტოში გაატანა და მხოლოდ მესამე ტყვიამ მცირედ გაკაწრა გამოჩენილი აგიტატორიო. და, აი, ამ უმნიშვნელო ჭრილობამ წელი ისე სამარცხვინოდ მოსწყვიტა იმ კაცს, რომელიც თვისი გაზეთით მკვლელობის ცეცხლის წაკიდებას და დინამიტის ხმარებას ჰქადაგებს. ამფეთქებელთა მეფემ, მის მაგიერად რომ ხელი ეტაცნა სუსტი არსებისათვის, დაეჭირა იგი და წაერთმია რევოლვერი, საცოდავად დაიღრიალა—მომეშველეთო! ნუ თუ ეს ის კაცები არიან, რომელნიც ჰქადაგებენ ძალ-დატანებას! საკვირველია, სად ჰპოულობენ ესენი მომხრეთ, რომელნიც ამათ საქმეს ასე უხვად სწირავენ ფულს... ამერიკაში—განაგრძობს შემდეგ იგივე გაზეთი — შეუძლიან ყოველს პირს, როცა ჰსურს, ილაპარაკოს, მაგრამ თუ-კი მან საქმე განიზრახა, განიზრახა ისეთი რამ, რაც წინააღმდეგია ამერიკულ წესებისა, უნდა იცოდეს, რომ ამგვარს მისს განზრახვას წინააღუდგებიან. თვალ-საჩინო მაგალითი ამის მოხდა სწორედ იმ დღეს, როდესაც მისს დოდლეისამ ესროლა რევოლვერი როსას. ამ დღეს მუშა სოციალისტებმა დანიშნეს კრება, რომელზედაც უნდა მოელაპარაკნათ ლონდონის აფეთქებათა შესახებ. ეს გაიგეს ადგილობრივმა ნემეცმა - ანარხისტებმა, რომელთ მეთაურებად ითვლებიან ამერიკაში მოსტი და შვაბი და განიზრახეს ხელი შეუშალონ ამ კრებას. ანარხისტები მართლაც დაეცნენ თავს შეკრებილ სოციალისტებს და გაცხარებული ცემა-ტყეპა ასტეხეს ერთმანეთთა შორის, ასე რომ პოლიციაც გაერია საქმეში. ანარხისტების მეთაური შვაბი დაატუსაღეს და 2,600 გულდენის გირაოს ქვეშ განათავისუფლეს. მეორე მეთაური მოსტი ცუდად შეაქციეს სოციალისტებმა. ქეთილი არც დანარჩენ ანარხისტებს დააყენეს.

---

## ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“.

თებერვლის 20-ს.

ლონდონი. როდესაც გარეშე საქმეთა მინისტრმა გაათავა რუსთაგან იმიერ-კასპიის ოლქის განა-

პირზე ადგილთა დაჭერის გარემოების ახსნა, ლორდმა სალისბიურმა იკითხა: ეს დაჭერილი ადგილები ითვლებიან, თუ არა ავღანისტანის საზღვრების შორისო? ინდოეთის საქმეების მინისტრმა კიმბერლეიმ უპასუხა, რომ რადგანაც მხოლოდ ეხლა არის მოლაპარაკება საზღვრის გაყვანაზე, მე არ შემიძლიან გადაწყვეტილი პასუხი მოგიგოთ მაგ კითხვაზეო, თუმცა ინგლისის მმართებლობა მაგ ადგილებს დღემდის ავღანისტანისად სთვლიდაო. ლორდმა ლოსიანმა იკითხა: თუ რუსთა და ავღანელების ავანპოსტთა შორის შეტაკება მოხდა, მოასწავებს თუ არა ეს შეტაკება ომს რუსეთისა და ინგლისის შორისაო? გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ წინ-და-წინ მოუმზადებლად მაგ კითხვაზე პასუხს ვერ მოგიგებთო.

კალკუტა. ინდოეთის მეფის მოადგილე (ვიცე-კოროლი) უმთავრესთა მოხელეთა ამალით ავღანისტანის ემირის მისაგებებლად მიდის ხოსანაბულში, სადაც სამანევროდ (სავარჯიშოდ) შეკრებილი იქნება 20,000-მდე ჯარის კაცი. ამათი შეყრა, ალბად, მარტის 28 მოხდება.

ბერლინი. მესამედ წაკითხვის შემდეგ რეიხსტაგმა გადასწყვიტა 20,000 მანათის დახარჯვა გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის მესამე დირექტორის თანამდებობის დასაწესებლად. წინად რეიხსტაგი წინააღმდეგი იყო ამ თანამდებობის დაწესებისა.

პარიჟი. პალატამ გადასწყვიტა რომ ხორბალზე ბაჟად დაიდვას $5^1/_2$ ფრანკი.

ლონდონი. ,,ტაიმსს'' იმედი აქვს, რომ გერმანია და ინგლისი შეთანხმდებიან კოლონიალურს პოლიტიკაში. უკულტურო (გაუნათლებელ) ქვეყნებშიო, ამბობს ტაიმსი, იმდენი ადგილია, რომ ორნივ თავისუფლად სახელმწიფონი მოთავსდებიანო.

თებერვლის 21-ს.

პეტერბურგი. განკარგულებაა მომხდარი, რომ წმ. მეთოდის 1000 წლის იუბილეის დღეს განთავისუფლებულ იქმნენ სწავლისაგან მოსწავლენი, რათა დაესწრნენ დღესასწაულებრივს ღვთის-მსახურებაზედ და საკითხავებზედ, რომლებზედაც ახსნილი იქნება მნიშვნელობა სლავიანთ პირველ-მოძღვართა რუსეთის ხალხისათვის.

ვაშინგტონი. გუშინ კლივლანდმა მიიღო პრეზიდენტის თანამდებობა და შემდეგი პოლიტიკური პროგრამა გამოაცხადა: მე ვიქონიებ მეგობრულ დამოკიდებულებას ყველა სახელმწიფოებთან, მაგრამ კავშირით არავის შევეკვრი და არავის მივცემ ნებას ჩვენს შინაურ საქმეებში გაერიოსო; ვეცდები ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობას ყველა კლასებისას შეერთებულ შტატებში, ფინანსების კარგად მოწყობას, მოსპობას ბოროტ მოქმედებისას, ზნეობის აღდგენას ხალხში ეს მრავალ ცოლობას გადაგდებას. გამოცხადებულია აგრეთვე სია ახალი მინისტრებისა. ყველა მინისტრებს პატიოსანი კაცის სახელი აქვთ.

,,დროების'' ფოსტა.

ა—ხეს. გ. ჯ—მეს. გმადლობთ ცნობისათვის. გვლავაც ნუ მოგვაკლებთ.

ქართველ ქალს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ა—ს—კს. ლ. კ—ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)


განცხადებანი

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამარილე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასაკეცმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის გი, საწყალი, სკები, რიუმკები, საქამური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმელები, პრობკის ამოსაძრობები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, აღვირები, სლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიდები, კაპსიულები, ხათვანგები, ნაჩხები, კატრპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—4)

მოკვლიადი

ს. სიუ და კო.

(Ц. 2542). (46—3)

ПОДПИСКА

На политическую и литературную газету

ВОСТОКЪ

НА 1885 Г.

Газета ВОСТОКЪ служитъ органомъ православныхъ восточныхъ народовъ, выходитъ до двухъ разъ въ недѣлю.

**Подписная цѣна:** съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб. за ½ года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за ½ года 5 руб.

**Подписка принимается:** ВЪ МОСКВѢ, въ редакціи, у малаго камен. моста, Д. Полякова. (10—1)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და აღარ ინდეთ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—93)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტები თავის ტკივილის ასასპობლად, ტუალეტის საპონი, ღუხები და სხვ.

САМЫЙ ПОЛНЫЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

РАДУГА ДАЕТЪ СВОИМЪ ЧИТАТЕЛЯМЪ 99 БЕЗПЛАТНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ ВЪ ГОДЪ И ОДНУ ПРЕМІЮ.

Иллюстрированный семейный журналъ, III годъ изданія.—Въ годъ 50 №№ | Подписная цѣна: въ годъ съ доставкою и пересылкою 5 р.

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 руб., затѣмъ 3 мѣсяца подрядъ по 1 р.

Адресъ редакціи: Москва, Столешниковъ пер., д. Корзинкина.

Ц. 10.209 (5—2).


*Доз. ценз. Тифлисъ, 21 Февраля 1885 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. წერეთელიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.